# ხელშეკრულება № 4

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ხობი 14 თებერვალი 2023 წ.

ერთის მხრივ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიფულის საჯარო სკოლა შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული (ს/კ 244557341) წარმოდგენილი მისი დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებელი ირმა ხორავას სახით და მეორეს მხრივ-შპს „პისიშოპ.ჯი“ -შემდგომში „შემსრულებლად“ წოდებული ( ს/კ 205198481) მისი დირექტორის ზურაბ ხორგუაშვილის სახით, ,, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ‘ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს“ ქვეპუნქტის კშესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია, შესყიდვების მიერ კომპიუტერული ტექნიკის შეძენა (კერძოდ ნოუთბუქი ლეპტოპი, სისტემური ბლოკი და აქსესუარები) შესყიდვა ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| | დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეული სფასი (ლარი) | ჯამური ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნოუთბუქი DELL Vostro 3500 (Black) - i3-1115G4 3.0~4.1GHz, 8GB DDR4, 256GB SSD, 15.6" FHD IPS, Intel UHD, 42Wh, DOS, 3Y [P/N: 210-AXUD], გარანტია: 36 თვე | ცალი | 2 | 1499 | 2998 |
| 2 | პრინტერი Canon PIXMA G2411 Printer - A4, Print, Copy, Scan; Print 9.1ipm/6ipm, 4800 x 1200 dpi; Scan 600 x 1200 dpi; USB; 12,000/7,700 pages, 2Y [P/N: 2313C025AA], გარანტია: 24 თვე | ცალი | 1 | 499 | 499 |
| 3 | USB კაბელი Gembird CCF-USB2-AMBM-6 Premium quality USB 2.0 A-plug B-plug 1.8m cable with ferrite core [P/N: CCF-USB2-AMBM-6], გარანტია: | ცალი | 1 | 10 | 10 |
| 4 | პისიშოპის დესქტოპები Vector 3000 \| Intel i3-10100 \| Zalman CNPS80G Rev.1 \| Asrock H510M-HVS R2.0 \| Team Elite 8GB DDR4 3200Mhz \| Team CX1 240GB Sata III \| Spire Supreme SPFR1531B-500Z [P/N: Vector 3000], გარანტია: 1 წელი | ცალი | 1 | 839 | 839 |
| 5 | უწყვეტი კვების წყარო UPS - SVC V-850: 850VA, 480W, LED, Line-Interactive UPS, input 145-290V,output 200-255V, 1x12V/7.0AH\| 2 x German socket and plug [P/N: V-850], გარანტია: 1 წელი | ცალი | 1 | 119 | 119 |
| 6 | მაუსი Genius \| NX-7005 \| Wireless \| USB \| 1600 DPI \| 3 \| Black \| [P/N: NX-7005/Black], გარანტია: 1 თვე | ცალი | 2 | 19 | 38 |
| | *სულ: ოთხი ათას ხუთას სამი ლარი* | | | | ***4503*** |

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

cpv 30200000;  ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება:  ინვოსი ანგ: N SO23-004729 საფუძველზე შეადგენს  4503  (ოთხი ათას ხუთას სამი ლარი) ლარი .

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3,3  სკოლის არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან  ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.6 მყიდველი  ვალდებულია ხელი შეუწყოს გამყიდველს საკუთარი ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულებაში (რაც ასევე მოიცავს ნასყიდობის ფასის სრულად და დროულად გადახდას და შესაბამისი პირობების შექმნას) და მიიღოს ნასყიდობის საგანი.

2.7 უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის დროდ მიიჩნევა თანხის ასახვის მომენტი ხსენებულ ,,პისიშოპჯი“-ს საბანკო ანგარიშზე.

**მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

4.1  მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის  20 თებერვლის  ჩათვლით, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიფულის საჯარო სკოლა.

4.2 მყიდველი მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერით ადასტურებს, რომ პროდუქციის მიწოდებისას მას გადაეცა საგარანტიო ტალონი, რომლითაც განსაზღვრულია, საგარანტიო ვადა და საგარანტიო მომსახურების პირობები. მყიდველი ადასტურებს, რომ ის ეთანხმება აღნიშნულ პირობებს. საგარანტიო ტალონი წარმოადგენს მოცემული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და გააჩნია  ხელშეკრულებასთან გათანაბრებული ძალა. საგარანტიო ტალონი ძალის მქონეა იმ შემთხვევაშიც, თუ მას ხელი მოაწერა საქონლის მიღებაზე მყიდველის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, მიუხედავად იმისა არის თუ არა ეს უფლებამოსილი წარმომადგენელი მყიდველის დირექტორი.

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ა) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან, საგარანტიო პირობების თანახმად, განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე

4.2 მყიდველი მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერით ადასტურებს, რომ პროდუქციის მიწოდებისას მას გადაეცა საგარანტიო ტალონი,რომლითაც განსაზღვრულია, საგარანტიო ვადა და საგარანტიო მომსახურების პირობები. მყიდველი ადასტურებს, რომ ის ეთანხმება აღნიშნულ პირობებს. საგარანტიო ტალონი წარმოადგენს მოცემული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და გააჩნია ხელშეკრულებასთან გათანაბრებული ძალა. საგარანტიო ტალონი ძალის მქონეა იმ შემთხვევაშიც, თუ მას ხელი მოაწერა საქონლის მიღებაზე მყიდველის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, მიუხედავად იმისა არის თუ არა ეს უფლებამოსილი წარმომადგენელი მყიდველის დირექტორი.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

Created with
nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი**

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 10. შეტყობინება**

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა**

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 12. ხელშეკრულების ენა**

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

**მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 დეკემბრამდე.

**მუხლი 14. სხვა პირობები**

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებელი

შპს *„პისიშოპჯი“*

მისამართი: თბილისი ვაჟა-ფშაველას N16 ა
Email: . sales@pcshop.ge
ტელეფონი: 0322 052075
საიდენტიფიკაციო კოდი:
N 205198481
საბანკო რეკვიზიტები: *სს „საქართველოს ბანკი“*
*ბანკის კოდი: BAGAGE22*
*ანგარიშის ნომერი*
*GE27BG0000000184252600*

ზურაბ ხორგუაშვილი

PCSHOP.GE LLC
Digitally signed by PCSHOP.GE LLC
Date: 2023.02.15 16:07:49 +04'00'

შემსყიდველი

სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიფულის საჯარო სკოლა
მისამართი: ხობი. გურიფული
Email:gurpuli@mes.gov.ge
ტელეფონი: 577 95 06 92;591 81 81 75
საიდენტიფიკაციო კოდი:
244557341
საბანკო რეკვიზიტები: სს ლიბერთი ბანკის ხობის განყოფილება
საბანკო კოდი: LBRTGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
GE96LB0121144378339900

ირმა ხორავა
/დირექტორის დროებით მ/შ/

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

ხელშეკრულების საგნის აღწერა დანართიN1

1. შესყიდვის ობიექტია შემდეგი საოფისე მოწყობილობები და მარაგი:

| | დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | ჯამური ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნოუთბუქი DELL Vostro 3500 (Black) - i3-1115G4 3.0~4.1GHz, 8GB DDR4, 256GB SSD, 15.6" FHD IPS, Intel UHD, 42Wh, DOS, 3Y [P/N: 210-AXUD], გარანტია: 36 თვე | ცალი | 2 | 1499 | 2998 |
| 2 | პრინტერი Canon PIXMA G2411 Printer - A4, Print, Copy, Scan; Print 9.1ipm/6ipm, 4800 x 1200 dpi; Scan 600 x 1200 dpi; USB; 12,000/7,700 pages, 2Y [P/N: 2313C025AA], გარანტია: 24 თვე | ცალი | 1 | 499 | 499 |
| 3 | USB კაბელი Gembird CCF-USB2-AMBM-6 Premium quality USB 2.0 A-plug B-plug 1.8m cable with ferrite core [P/N: CCF-USB2-AMBM-6], გარანტია: | ცალი | 1 | 10 | 10 |
| 4 | პისიშოპის დესქტოპები Vector 3000 \| Intel i3-10100 \| Zalman CNPS80G Rev.1 \| Asrock H510M-HVS R2.0 \| Team Elite 8GB DDR4 3200Mhz \| Team CX1 240GB Sata III \| Spire Supreme SPFR1531B-500Z [P/N: Vector 3000], გარანტია: 1 წელი | ცალი | 1 | 839 | 839 |
| 5 | უწყვეტი კვების წყარო UPS - SVC V-850: 850VA, 480W, LED, Line-Interactive UPS, input 145-290V,output 200-255V, 1x12V/7.0AH\| 2 x German socket and plug [P/N: V-850], გარანტია: 1 წელი | ცალი | 1 | 119 | 119 |
| 6 | მაუსი Genius \| NX-7005 \| Wireless \| USB \| 1600 DPI \| 3 \| Black \| [P/N: NX-7005/Black], გარანტია: 1 თვე | ცალი | 2 | 19 | 38 |
| | *სულ: ოთხი ათას ხუთას სამი ლარი* | | | | ***4503*** |

მიმწოდებელი

შპს „*პისიშოპჯი*“

ზურაბ ხორგუაშვილი

PCSHOP.GE LLC

Digitally signed by PCSHOP.GE LLC
Date: 2023.02.15 16:08:28 +04'00'

შემსყიდველი

სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიფულის საჯარო სკოლის დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებელი

ირმა ხორავა

/დირექტორის მ/შ/

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

# ხელწერილი

## ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ხობი 14 თებერვალი 2023წ

სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიფულის საჯარო სკოლის დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებელი ირმა ხორავას სახით ვადასტურებ, რომ გურიფულის საჯარო სკოლასა და შპს ,პისიშოპ.ჯი" შორის 2023 წლის 14 თებერვალს გაფორმებული N4 (cpv: 30200000 ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვაში სკოლის დირექტორის მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას და არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით:

სკოლის დირექტორი ს დროებით

მოვალეობის შემსრულებელი:

ირმა ხორავა

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional